საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 11459/01
03/11/2021

11459-01-2-202111031839

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 17 სექტემბრის N16760 წერილი, რომელიც ეხება ქ. ლაგოდეხის აღმოსავლეთით, მდ. ლაგოდეხისხევზე წყალდიდობის საწინააღმდეგო, ასევე ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) სამუშაოების განხორციელების სკრინინგის განცხადებას.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში, დამცავი ნაგებობის ძირის ნიშნულის დასადგენად გამოყენებული უნდა იყოს საქართველოში აპრობირებული მეთოდით გამოთვლილი კალაპოტის ზოგადი წარეცხვის მაქსიმალური სიღრმის სიდიდე, რაც პროექტის მიხედვით შეადგენს 3,95 მეტრს;
- ნაპირდამცავი ნაგებობის ძირის ნიშნული დადგენილი უნდა იყოს წარეცხვაზე შესაბამისი მარაგის (0,8-1,3 მეტრი) გათვალისწინებით.

სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით იმსჯელებს ზემოაღნიშნული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044